ხაშურის მოამბე

№20 (201) 20 მაისი, ორშაბათი, 2019 წელი

მოხდება კულტურული მემკვიდრეობის ოთხი ძეგლის რეაბილიტაცია - რეკონსტრუქცია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ 2019 წელს სარეაბილიტაციო ძეგლების საპროგრამო ნუსხა გამოაქვეყნა.

სარესტავრაციო, საკონსერვაციო და არქეოლოგიური სამუშაოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ 9 მილიონ ლარს, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განკარგავს, ფონდი "ქართუ"-ს მიერ მიმდინარე წლისთვის გამოყოფილი 20 მლნ ლარი დაემატება და ის სრულად კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაციაზე წარიმართება.

კულტურული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების რიცხვში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მოხვდა: დაბა სურამის "ამაღლების" სახელობის ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია; წრომის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი); ნაბახტევის ეკლესიის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები და ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქციის და ეზოს კეთილმოწყობის საპროექტო სამუშაოები.

შიდა ქართლი ბათუმის მე-12 საერთაშორისო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის გამოფენაზე საუკეთესო სტენდის მქონე რეგიონი გახდა

ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-12 გამოფენაში შიდა ქართლის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარძე ესწრებოდა.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში მომუშავე საწარმოებმა, ღვინის მარნებმა, მეთუნეებმა, მხატვრებმა და სხვა ხელოვანებმა. გარდა ნივთებისა, დამთვალიერებელს ადგილზე შეეძლო ენახა როგორც თიხის ძერწვის, ისე წნულისგან დამზადებული ნივთების დამზადებისა და სურამის ნაზუქის ცხობის მასტერკლასი.

გამოფენის ძირითად მიზანს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის ხელშეწყობა და ტურისტული ადგილების ცნობადობის გაზრდა წარმოადგენდა.გამოფენის ორგანიზატორი საერთაშორისო საგამოფენო კომპანია „GEONET EXPO" იყო.

ტოცაში ბავშვებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს

სასიხარულო სიახლე,რომელმაც ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოცის მოსახლეობა გაახარა, სოფელში ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა გახდა, რომელიც განხორციელდა 2019 წლისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში; სიახლეს განსაკუთრებით განუზომელი სიხარულით და მადლიერებით შეხვდნენ პატარები,რომლებისთვისაც ეს საჩუქარი დაუჯერებელი იყო. ემოციებს ვერ მალავდნენ ახალგაზრდა მშობლებიც.

უკანასკნელ პერიოდში სოფელში მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა: სოფელი მთლიანად გაზიფიცირებულია, მოწყობილია გარე განათება,მუშაობს ამბულატორია,დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს დანაგვიანების დასაცავად გატარებულ ღონისძიებებს და სხვა. ეს ყველაფერი გარკვეული დადებითი წვლილის შემტანია სოფლის ცხოვრებაში და საინტერესოს და მიმზიდველს ხდის ახალგაზრდა ოჯახებისათვის აქ ცხოვრებას. ახლადგანხორციელებული პროექტის მთავარი მიზანიც ეს იყო.

სოფლის მოსახლეობის სახელით მადლობას ვუხდით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გიორგი გურასპაშვილს, ფლევის თემის რწმუნებულს, ბატონ როინ ცხოვრებაძეს და ადგილობრივ მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ მიხეილ კაპანაძეს მხარდაჭერისა და ზრუნვისათვის;

ლიანა ლომიძე,
ტოცის საჯარო სკოლის დირექტორი

მნიშვნელოვანი რეფორმა - სიახლე სასკოლო ცხოვრებაში

15 მაისს, ხაშურის N1 საჯარო სკოლაში, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებმა, ქვემდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და რესურსცენტრის ინიციატივით შექმნილი „მასწავლებლების სათათბიროს“ წევრებთან ერთად, განათლების სისტემაში მიმდინარე კომპლექსური რეფორმის თაობაზე, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს.სადაც იმ რეფორმების შესახებ ისაუბრეს, რომელიც განათლების მინისტრის ინიციატივით დაანონსდა და რომლის ნაწილმაც დიდი ვნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მასწავლებლებში. თუ რას მოიცავს ეს რეფორმა და როგორ ხვდებიან მას მოქმედი მასწავლებლები, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, ზვიად გოგუაძეს ვესაუბრეთ:

- ბატონო ზვიად, რაში მდგომარეობს მინისტრის ახალი ინიციატივა?

-განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში,სკოლებში სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით,განათლების სამინისტრო ზოგადი განათლების მიმართულებით ცვლილებების შემდეგ ეტაპს იწყებს, რაც დროული და ძალიან საჭირო იყო. რეფორმის ფარგლებში, 2019 წლის სექტემბრიდან უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებელს ანაზღაურება 150 ლარით და მეტით გაეზრდება. ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება.სახელფასო ზრდა ასევე შეეხებათ რესურსცენტრების, სკოლების დირექტორებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს.პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებიც 2019 წლის ზაფხულში დაადასტურებენ მინიმალურ კომპეტენციას და აიმაღლებენ სტატუსს, ასევე მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას ახალი სასწავლო წლის დადგომისას, 2019 წლის სექტემბრიდან.პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად მოთხოვნები ნაწილობრივ აქვთ შესრულებული, მიეცემათ შესაძლებლობა, აიმაღლონ სტატუსი დამატებითი კრედიტქულების მოპოვებით 2019 წლის ბოლომდე. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ გაზრდილ და მზარდ ანაზღაურებას.მასწავლებლის სურვილის შემთხვევაში, პედაგოგების საჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო იზრუნებს პრაქტიკოსი საფეხურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე შესაბამისი გადამზადების პროგრამებით და ამის შემდგომ, განმეორებით მისცემს მათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურების და სტატუსის ამაღლების შესაძლებლობას 2019 წლის შემოდგომაზე.

- რაც შეეხება მეორე ინიციატივას, რომელსაც აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, რაში მდგომარეობს ის?

- საპენსიო ასაკის ღვაწლმოსილ პედაგოგებს, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურების, სტატუსის ამაღლების და შესაბამისად პროფესიული საქმიანობის გაგრძელების სურვილი, ეძლევათ პრივილეგია, მათი ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე, 2019 წელს, სახელმწიფოსგან მიიღონ ერთჯერადი ფულადი ჯილდო - ორი წლის ჯამური ხელფასი; ამასთან, შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში (საჯარო სკოლების მასწავლებელთა ჯანმრთელობის სადაზღვევო ვაუჩერის პირობების შენარჩუნებით).საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებელს სახელწიფოს მიერ შეთავაზებული ჯილდოს მიღების სურვილის გამოხატვის შესაძლებლობა 2019 წლის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევაში ექნება.თუ მასწავლებელს არ აქვს მინიმალური კომპეტენციის დადასტურების სურვილი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს 2019 წლის მაისის ბოლომდე; თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ კომპეტენციას, ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ უნდა გვაცნობოს 2019 წლის ბოლომდე; თუ მასწავლებელს არ აქვს სურვილი ან ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას განმეორებითი მცდელობისას, ან თუ მასწავლებელს აქვს მინიმალური კომპეტენცია დადასტურებული, მაგრამ არ სურს, რომ აიმაღლოს სტატუსი - ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ 2019 წლის ბოლომდე უნდა განაცხადოს. სახელმწიფო ჯილდოს გაცემა დაიწყება არაუგვიანეს 2019 წლის სექტემბრისა;

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს პედაგოგებს ორჯერ ეძლევათ შესაძლებლობა, დაადასტურონ მინიმალური კომპეტენცია და აიმაღლონ სტატუსი. ორივე გამოცდის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაშიც კი, მათ შეეძლებათ ისარგებლონ მინიჭებული პრივილეგიით და მიიღონ სახელმწიფო ჯილდო 2019 წლის შემოდგომაზე.

- რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ვერ ჩააბარებს აღნიშნულ გამოცდებს, ხომ არ კარგავს ის ფულად ჯილდოს?

-ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ აიმაღლებს სტატუსს, შეძლებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე - დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე ხელფასის შენარჩუნებით.

ზემოთ ჩამოთვლილ სიახლეებთან დაკავშირებით, განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო და საბიუჯეტო ცვლილებები.

მასწავლებელთა რეგისტრაცია კომპეტენციის დასადასტურებლად ,2019 წლის 13 მაისს დაიწყება და 24 მაისს, 18:00 საათზე დასრულდება.

თ. ჯავახიშვილი

- სოფლის მეურნეობა -

ხაშურელი ფერმერები TBC ბანკის ახალ ინიციატივას გაეცნენ

15 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერებისთვის თიბისი ბანკმა, საკვებწარმოების მსხვილ კომპანია “ნუტრიმაქსთან” ერთად, საინფორმაციო ტიპის შეხვედრა გამართა. აგროფორუმზე, რომელიც საქართველოს მასშტაბით ხორციელდება, იმ სიკეთეებზე ისაუბრეს, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერს, გაზარდოს საკუთარი წარმოების ხარისხი და მოცულობა, როგორც თიბისი ბანკის აგრო ბიზნესის განვითარების კოორდინატორმა, შოთა გონგლაძემ გვითხრა:

–ჩვენი დღეს აქ შეკრების მიზეზი აგროფორუმია, რომელსაც რეგულარულად ვატარებთ საქართველოს მასშტაბით, ჩვენ ვირჩვეთ კონკრეტულ თემას სოფლის მეურნეობის მიმართულებით რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე და ამ თემაზე ექსპერტების და გამოცდილი პრაქტიკოსების დახმარებით, ვმართავთ ღონისძიებებს. დღეს გვქონდა „ნუტრიმაქსის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა, როგორც მოგეხსენება, “ნუტრიმაქსი” გახლავთ საკვების წარმოების ლიდერი კომპანია, თემა გახლავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება. გავამახვილეთ ყურადღება თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მაღალი ეფექტის მიღება. მანამდე კი, ადგილობრივ ფერმერებს გავაცანით თიბისი ბანკის სტარტაპ პროგრამები, რომელსაც ვთავაზობთ, მესამე წელია. დაინტერესება დიდია რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს მრავალწლიანი სტარტაპსესხები მრავალწლიანი კულტურების გასაშენებლად, მსგავსი მიმართულებები გავაფართოვეთ და დღეს უკვე მრავალფეროვანი შეთავაზებები გვქონდა დაინტერესებული ფერმერებისთვის. მსგავსი შეხვედრები და ურთიერთთანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

- სოფლის მეურნეობა -

კოოპერატივი „სურამი - 2017“ მომავალს იმედით უყურებს

ჩვენი გაზეთის რედაქცია ყოველთვის თვალყურს ადევნებს ჩვენს რაიონში სოფლის მეურნეობის კუთხით მიმდინარე მოვლენებს, აქტიურად თანამშრომლობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან, რომელიც მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე საინტერესო რჩევებს უზიარებს ამ სფეროთი დაინტერესებულ ჩვენ მკითხველებს. სამსახურთან ერთად ყოველთვის გავდივართ სხვადასხვა სოფელში და უამრავ ფერმერსა თუ კოოპერატივს ვეცნობით და გაცნობთ თქვენც. უნდა გითხრათ, რომ, ამ მხრივ, მეტად სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს არამარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ მთლიანად ქვეყანაში. მოსახლეობა მიწას დაუბრუნდა, მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი, დაამუშავა მიწები და ჩვენი მადლიანი მიწის წყალობით, მოსავალიც გვარიანია. მართალია, მოსავლის რეალიზაციაზე სწუხს ქართველი გლეხი, ხშირად ფასზეც, რადგან თავისი შრომის ექვივალენტურად ვერ ყიდის პროდუქციას, თუმცა, უნდა ვიმედოვნოთ, რომ ეს სიტუაცია ოდნავ მაინც დასტაბილურდება, ჩვენ კი, მუდამ გავიმეორებთ, რომ ძლიერი სოფელი ძლიერ ქვეყანას ნიშნავს. სიტყვა, რომ არ გაგვიგრძელდეს, დღევანდელ ნომერში ერთ-ერთ მძლავრ კოოპერატივს ,,სურამი 2017“-ს გაგაცნობთ. ჩვენ, სოფელ გომში, ნაკვეთში ვესტუმრეთ და გავესაუბრეთ კოოპერატივის თავჯდომარეს ავთანდილ მახაჭაშვილს, რომელმაც კოოპერატივის განვითარების გზაზე მოგვითხრო. მიუხედავად, იმისა, რომ უდიდეს შრომა-წვალებას მოითხოვს მიწის დამუშავება და მასთან ურთიერთობა, უდიდესი სიამოვნებაა, როდესაც შედეგს ხედავ, შენი ნაჯაფარი ნიშანს გამოიღებს. სწორედ ამ სირთულეებით აღსავსე გზაზე ვისაუბრეთ ინტერვიუში ბატონ ავთანდილთან.

- ბატონო ავთანდილ, როდის ჩამოყალიბდა კოოპერატივი?

– კოოპერატივი „სურამი-2017” 2016 წლის ივნისის თვეში დავარეგისტრირეთ. თავდაპირველად, კოოპერატივში 5 კაცი ვიყავით, ამჟამად კი 11 წევრი ვართ.

- რატომ გადაწყვიტეთ, კოოპერატივი ჩამოგეყალიბებინათ, ეს განპირობებული იყო იმით, რომ კოოპერატივები განსაკუთრებული პირობებით სარგებლობენ?

– ცხადია, ასეა. თავად სააგენტოს მიზანია (საუბარია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოზე) სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით.

- რამდენ ჰექტარ მიწას ფლობს კოოპერატივი?

– კოოპერატივის მფლობელობაში 14 ჰექტარი მიწაა, მოგვყავს 5 ჰექტარზე ვაშლი, 3 ჰექტარზე – ჟოლო და 2 ჰექტარზე – მაყვალი.

- ბატონო ავთანდილ, რატომ გადაწყვიტეთ, რომ ეს კულტურები გაგეშენებინათ და რეალიზაცია თუ გიჭირთ პროდუქციის?

– მიუხედავად, იმისა, რომ ყველაფერს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, სამივე კულტურა საუკეთესო მსხმოიარობით გამოირჩევა, კარგ მოსავალს ვიღებთ. რეალიზაციაც არ გვიჭირს, გასაღების ბაზარიც მოძებნილი გვაქვს, შესანახი მაცივრის მფლობელთან ვაბარებთ ჩვენს მოსავალს.

- საკმაოდ დიდი მიწა გაქვთ და წვეთოვან სარწყავი შევნიშნეთ, სახელმწიფო პროგრამით თუ ისარგებლეთ?

– დიახ, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი”-ს ფარგლებში ორჯერ ვისარგებლეთ, საერთო ჯამში 70 000 ლარის დაფინანსება მივიღეთ პირველი ნერგების შესაძენად, მეორე კი – წვეთოვანი სარწყავი სისტემის. უნდა აღვნიშნო, რომ ამ სახელმწიფო პროგრამებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეული სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლისთვის. მათი მხრიდან თანადაფინანსება საოცარ შეღავათებს გვიკეთებს და ასე ვთქვათ, ხელს გვიმართავს.

- რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?

– როგორც ხედავთ, ამჟამადაც მუშაობს რამდენიმე ქალბატონი. სეზონურად კი საკმაოდ ბევრ მუშახელს ვასაქმებთ.

ამჟამად, ხაშურში 16 კოოპერატივი ფუნქციონირებს. გარდა იმისა, რომ ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ საკუთარი საქმის უკეთ წარმართონ, აგრეთვე, სოფლის მეურნეების სამინისტროც მხარში უდგას მათ, სთავაზობს უამრავ პროგრამს, და შეღავათებს. აღვნიშნავ, იმასაც, რომ მიმდინარე თვეში ცვლილება შევიდა ერთ-ერთ წარმატებული პროგრამის „დანერგე მომავალი” პირობებში, რომელსაც, ქვემო წერილში უფრო ვრცლად შემოგთავაზებთ.

თინა ახალკაცი

პროგრამაში “დანერგე მომავალი“ ცვლილებები შევიდა

პროექტი „დანერგე მომავალი“ ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო “ერთიანი აგროპროექტის” ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, რომელიც 2015 წლიდან ამუშავდა და საკმაოდ წარმატებულადაც. პროგრამაში უამრავმა ფერმერმა და კოოპერატივმა მიიღო მონაწილეობა და პროგრამის სიკეთეებით ისარგებლა.

მიმდინარ თვეს, პროგრამის ფუნქციონირებაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, თანამედროვე ტიპის, ინტენსიური ბაღების მეტ ფართობზე გაშენების მიზნით, მიზანშეწონილია დამატებითი მასტიმულირებელი მექანიზმები შეიქმნას.

მთავრობის სხდომაზე მიღებული დადგენილების თანახმად, ბაღების კომპონენტში, გასაშენებელი ფართობი მცირდება და, 1 ჰექტარის ნაცვლად, 0.5 ჰექტრით განისაზღვრა. ბაღების კომპონენტში, 1 ბენეფიციარზე მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა კი, ნაცვლად 100,000 ლარისა, არაუმეტეს 250,000 ლარი იქნება.

ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, როგორც მრავალწლიანი კულტურების ნერგების შეძენის, ასევე, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის და ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, შუა და საყრდენი ბოძების შეძენის ან/და სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების მოწყობის მიზნით.

ბაღების კომპონენტის ფარგლებში ფაქტიურ დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში,– არაუმეტეს 80%.

ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა მისი ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 250 ლარისა 0,5 ჰა-ზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - არაუმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1 500 ლარისა 0,5 ჰა-ზე.

ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდებათ სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების მოწყობის ღირებულების არაუმეტეს 50%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - არაუმეტეს 60%.

ცვლილებების თანახმად, ასევე პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, მრავალწლიანი ბაღის გაშენების შემდგომ, დაუფინანსდებათ შესაძენი შესაწამლი აპარატების ღირებულება წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშის ან/და შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 5 000 ლარისა.

სანერგე კომპონენტის ნაწილში, ნაცვლად 50%-იანი თანადაფინანსებისა, დაფინანსდება პროექტის ჯამური ღირებულების 70%, არაუმეტეს 500 000 ლარამდე.

ცვლილებები შევიდა ასევე კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტში, რომელიც ითვალისწინებდა ლურჯი მოცვის, მაყვლის და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების დაფინანსების კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. ცვლილებების თანახმად, კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, კენკროვანი კულტურების გაშენება შესაძლებელია დაფინანსდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში შემდეგი თვითმმართველი ქალაქების - თბილისის, რუსთავი,ს ქუთაისის, ბათუმის და ფოთის გარდა.

პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ 2015 წლის მარტში დაიწყო.

პროექტის მიზანია, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამმუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17,18,19)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

ნარვანი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთის წინეთში, სოფელ ქემფრის დასავლეთით, შედის ცოცხნარის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ნარვანს არ იცნობენ. იგი არც ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

ნარვანი მოიაზრება სოფელ ქემფრის უბნადაც, რადგან მოსახლეობა აქედან არის გადმოსული.

აქ სახლობენ გვარები: გელაშვილი, გოგალაძე, ლაბაძე, ლომიძე, ქურდაძე...

ნარვანთან ახლოს, სამხრეთით, მუხნარში შემორჩენილია წმინდა სამების ეკლესიის (წვერიანას საყდარი) ნანგრევები, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ნარუჯები – ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდებარეობს ხალების სასოფლო საკერბულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ნარუჯებს არ იცნობენ, იგი არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

1945 წლისათვის აქ სახლობდნენ გვარები: ბარბაქაძე და წიქარიშვილი.

XX საუკუნის 50-იან წლებში მოსახლეობა ჩამოასახლეს ქ. ხაშურში და სოფელი მოიშალა.

სახელწოდება ნა-რუჯ-ებ-ი მიღებულია სიტყვა რუჯვიდან ნა– პრეფიქსისა და -ებ სუფიქსის საშუალებით. რუჯვა ს.ს. ორბელიანის მიხედვით "ცეცხლში გავლებას" ნიშნავს.

ნაცარგორა – სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, ხაშურიდან დაშორებულია 22 კილომეტრით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგურიდან) 12კმ-ით. ზ. დ. 760 მ. შედის ფლევის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ნაცარგორას არ იცნობენ. არც ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

ნაცარგორა საინტერესოა არქეოლოგიური ძეგლებით. შესწავლილია ნაცარგორის გორა–ნამოსახლარი (ძვ.წ.–აღ–ის III– II ათასწლეული) და სამაროვანი (ადრებრინჯაოს ხანა, გვიანბრიონჯაო–ადრერკინის ხანა, ანტიკური პერიოდი).

აქ სახლობენ გვარები: არსენიძე, გელაშვილი, გონგლაძე, გრიგალაშვილი, ივანიშვილი, კაპანაძე, ტაბატაძე, ტეფნაძე, შუბითიძე, ხარაზიშვილი, ხარშილაძე, ხაჩიძე.....

სახელწოდება მომდინარეობს იმ გორანამოსახლარიდან, რომელიც აქ, სოფლის შესასვლელში მდებარეობს. ამ გორაზე კულტურულ ფენებში გვხვდება ნაცარი. როგორც ჩანს, ჯერ ამ გორას, ხოლო შემდეგ სოფელსაც შეერქვა სახელწოდება – ნაცარგორა. ნაცარი ს.ს. ორბელინის მიხედვით, არის "ცეცხლი დამიწებული".

ნაცარგორა სიტყვათშეერთებით არის მიღებული: მსაზღვრელი – ნაცარი და საზღვრული – გორა, არსებითი სახელები არიან.

ნაციხვარი - იხ. ნაბახტევი.

ნიკორთი – ნასოფლარი შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ტილიანას აუზში, მდებარეობს ალის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფელს არ იცნობენ, ის არც სხვა ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

1930 წლის 15 ნოემბრისათვის აქ ცხოვრობდა 21 კომლი მოსახლე, სულ 96 კაცი. მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

ნიკორთში სახლობდნენ გვარები: გელაშვილი, გორგაძე, გოგოლაძე, ბუხრიკიძე, კურტანიძე.

XX ს-ის 40-იან წლებში მოსახლეობა გადაასახლეს ახალციხის მხარეში და სოფელიც მოიშალა.

აქ მდებარეობს ყვავის საყდრის სახელწოდებით ცნობილი ეკლესის ნანგრევები.

ნინისი – ნასოფლარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ჭერათხევის (ალის წყალი, ალის ფრონე) ხეობაში, ულუმბის წყლის მარჯვენა შენაკადის, ნისის წყლის ზემო წელში. მდებარეობს ალის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ნინისს არ იცნობენ, არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

1886 წლის აღწერით, აქ 3 კომლი მოსახლეა (16 კაცი და 20 ქალი, სულ 36 კაცი). მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მთლიანად ქართულია.

მოსახლეობა XX ს-ის 50-იან წლებში დაბა სურამში ჩაასახლეს და სოფელი მოიშალა.

აქ სახლობდნენ გვარები: დევაძე, ხარაიშვილი და კურტანიძე.

სოფლის სახელი თბილისის, ნუნისის, ქუთაისის მსგავსადაა ნაწარმოები.

აქ მდებარეობს წმ. ნინოს ეკლესიის ნანგრევები.

მოსახლეობა სოფლის სახელწოდებას სწორედ ამ ეკლესიის სახელს უკავშირებს.

ნორაშენი – ნასოფლარი მდ. ჭერათხევის (ალის ფრონე) აუზში, სოფელ ნაბახტევთან ახლოს. მდებარეობს ალის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

გიორგი XI 1685 წელს ბეგთაბეგ შანშეან მარტიროზაშვილს ნაბახტევთან, კვერცხობთან და კლდისწყაროსთან ერთად უბრუნებს მანამდე ჩამორთმეულ ნორაშენს.

უფრო ადრე ნორაშენი გვხდება ულუმბის მონასტრისადმი ალექსანდრე დიდის (1412-1446) შეწირულობის სიგელში. მასში ნათქვამია, რომ მონასტრის სასარგებლოდ „...ნორაშენს ფარილუსს მიტიჩაშვილს ათი კოდი პური, ათი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი მართებს."

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ნორაშენს არ იცნობენ, თუმცა ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

დღეს ნაბახტევის სიახლოვეს ნორაშენი არ დასტურდება, არც ნაბახტევის ტოპონიმიაში გვხვდება, რომ სოფლის ადგილმდებარეობა განისაზღვროს.

სახელწოდება ქართული წარმოშობისა არ არის. მკვლევარ მ. ბერიძის მიხედვით, შენება ზმნის ფუძე შემოსულია საშუალო სპარსულიდან როგორც ქართულში, ასევე სომხურში, მას ეყრდნობა სომხური და ქართული ფორმები. განსაკუთრებით პროდუქტიულია–„შენ“ ტოპონიმიაში. მისი ამოსავალი მნიშვნელობა არის სოფელი. გარდა სოფლისა, **შენს** ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც აღმოსავლურ ენებში. ხშირად „შენ“ სიტყვა „შენება“ ზმნას უკავშირდება. „შენ“ იხმარება აღმოსავლურ ენებში (სპარსული, სომხური, თურქული და სხვა) და ნიშნავს სხვათა შორის, კეთილმოწყობილს, დასახლებულს, საცხოვრებლად ვარგისს.

ქართული–„შენ“ ფორმას ჰქონდა წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის გაგებაც, ე. ი. ნაშენი. ასეთი გაგებით არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება როგორც ზოგადად ქართული, ასევე ხაშურის რაიონის სინამდვილიდან. როცა ვახუშტი აღწერს რომელიმე დასახლებულ პუნქტს, ციხეს, ეკლესია-მონასტერს ან გარკვეულ რეგიონს, ხშირად ხმარობს ამ სიტყვას–შენი, დიდშენი და ა.შ.

„შენ“ კომპონენტიანი ტოპონიმები საქართველოს სინამდვილეში მრავლად გვხვდება. ხაშურის რაიონში გვაქვს ორი დასახლებული პუნქტი, რომელიც ახალშენის სახელწოდებით არის ცნობილი (ალის ს/ს და წრომის ს/ს).

„შენ“ ყველაზე პროდუქტიულია **ახალ** მსაზღვრელთან (ახალშენი). სხვა შემთხვევაში პირველ კომპონენტად ადამიანთა საკუთარი სახელი გვხვდება (ოთარ-ოთარაშენი, თამარ-თამარაშენი და ა.შ.).

ისევ მერაბ ბერიძის დაკვირვებით, სიტყვა ახალი (ახალ ტოპონიმებში) მხოლოდ ისეთი სინტაგმის წევრია, რომლის მეორე ნაწილი უეჭველად დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელია: – ახალქალაქი, ახალსოფელი, ახალდაბა, ახალციხე და სხვა. ამიტომ, დაასკვნის იგი, ახალშენი // ახაშენის შემთხვევაში – შენს უეჭველად სოფლის, დასახლებული პუნქტის მნიშვნელობა აქვს.

– შენთან გვხვდება არა მხოლოდ ადამიანთა საკუთარი, არამედ ისეთი სახელებიც, რომლებიც ადამიანის საკუთარ სახელს არ წარმოადგენენ (გაგაშენი, კორაშენი, ხევაშენი და ა.შ.).

მ. ბერიძის დასკვნით, სპარსული „შენი“ თავდაპირველად იხმარებოდა სოფლის მნიშვნელობით. ამიტომ ახაშენი // –ახალშენი სახელი ყველაზე ძველი ჩანს –შენ კოპონენტიან სახელებში. –შენ კომპონენტიან სახელებში დროთა განმავლობაში „შენ" ძირისაგან იწარმოა შენება ზმნა, ამასთან დაკავშირებით, „შენ" სიტყვამ მიმღეობის მნიშვნელობა მიიღო. –შენის ეს მნიშვნელობა შედარებით გვიანდელი ჩანს და მას წინ უსწრებს ადამიანთა საკუთარი სახელი.

ნორაშენში მოცემულია სომხური (ნორა) და სპარსული (შენ) კომპონენტები და ქართულად მისი შესატყვისია ახალშენი.

ოსიაური – სოფელი, ქვემო და ზემო ოსიაურის ძველი სახელწოდება, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, ხაშურის აღმოსავლეთით. ხაშურიდან დაშორებულია 4 კილომეტრით, ზ.დ. 670 მ. სასოფლო საკრებულოს ცენტრი (ზემო ოსიაური, ახალსოფელი და ქვემო ოსიაური).

ქართულ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან გვხვდება.

ხალხში გავრცელებული თქმულების მიხედვით, სოფელს ოსები დასხმიან და „აურევიათ" (აუკლიათ). მართალია „ამრევ" ოსებს ბევრი ვერაფერი დაუკლიათ, მოსახლეობა ღირსეულად დახვედრია და გაღმა, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს გაურეკავთ მომხვდურები, მაგრამ სოფელს სახელად – ოსიაური, ოსებისგან არეული, შერჩენია.

პროფ. ალ. ღლონტს მიაჩნია, რომ ოსიაურის ადრინდელი სახელწოდება ზღუდელია. ეს მოსაზრება ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ აქ არის სალოცავი, რომელიც ცნობილია ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესიის სახელით, სოფელში იცის სახალხო დღესასწაული „ზღუდრობა“.

ვფიქრობთ, რომ პროფ. ალ ღლონტის ეს მოსაზრება სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ხაშურის და არა მარტო ხაშურის რაიონში, ხშირად გვხვდება მსგავსი შემთხვევები. მაგალითად: ხაშურის რაიონში სოფ. ტეზერში არის ხახუტის ღვთისმშობლის ეკლესია, აქვეა ზღუდერის წმინდა გიორგის ეკლესია, ძამასა და ბნელეთში ხრესილის წმ. გიორგის ეკლესიები. სოფ. ხალებში ქარტის წმ. გიორგის ეკლესია, სოფ. ბეკამში სავანეთის წმ. გიორგის ეკლესია, სოფ. დამჩხეულაში ტბეთის წმ. გიორგის ეკლესია. ქარელის რაიონში სოფ. კნოლევში არის გომართის წმ. გიორგის ეკლესია და სხვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სალოცავის სახელდება – ხახული, ხრესილი, ქარტა, სავანეთი, ტბეთი, გომართი, ზღუდერი არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ეს სახელები ერქვა ადრე ზემოთ აღნიშნულ სოფლებს, როცა სხვა ადგილებშიც გვაქვს ხრესილის, ტბეთის, გომართის და ა. შ. სახელწოდების სოფლები (ნასოფლარები).

საქართველოში, კერძოდ ქართლ-კახეთში, არაერთი ტოპონიმია ზღუდერის სახელწოდებით დაფიქსირებული. ზღუდერი სოფელია ქარელის რაიონში, ძამის ხეობაში. ამავე რაიონში, სოფელ ბრეძაშიც გვხვდება ზღუდერი. ზღუდერი გვაქვს სიღნაღის რაიონში, გურჯაანში და ცხინვალში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ამ ზღუდერში არის წმ. გიორგის სალოცავი, ყველგან იმართება დღესასწაული „ზღუდრობა".

მთიულეთში სოფ. უკანამხარში დასტურდება ზღურდალი, რომელიც ჭალისპირზე დაცემულ ადგილს ეწოდება. მკვლევარ გ. ხორნაულის მიხედვით „ეს სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ტერმინს ზღუდერი, რომელიც ტოპონიმების სახით რამდენიმე ადგილას არის შემორჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე".

მკვლევარი იქვე მიუთითებს: „...ზღუდერის საინტერესო ახსნას იძლევა ლევან ჭილაშვილი. მისი მოსაზრება ასეთია: უძველეს დროში გამაგრებული საცხოვრებელი ადგილების, შემდგომში იმავე ქალაქების აღსანიშნავად უნდა ხმარებულიყო ქართული ტერმინი – **ზღუდერი** (ზღუდე), რომელიც შემდეგში შეცვალა უცხოურმა სიტყვამ – **ქალაქმა**. ამ სიტყვის ძირად თვლიან სირიულ ზმნას **ქრქ**, რაც შემოზღუდვას, გარს შემორტყმას ნიშნავს, როცა ზმნაა, ხოლო თუ სახელად არის გაფორმებული – შემოზღუდულს, ქალაქს. ამავე სიტყვიდან მიღებულად თვლიან არაბულში და შემდეგ სპარსულში გავრცელებულ სიტყვა კალა-ს (ყალა)."

ზღუდერი მომდინარეობს ზღუდიდან. მიღებულია –ერ სუფიქსით (სადგ–ერ–ი, ქემფ–ერ–ი და სხვ.) ორივე სახელი – ზღუდე და ზღუდერიც არსებითი სახელია.

ზღუდეს ს.ს. ორბელიანი საკმაოდ ვრცელ განმარტებას აძლევს. მისი მიხედვით „ესე არს ყოველი სიმგვრგვლით შემოვლებული, რაიც რაივე იყოს გარ მონავლები ქალაქთა, დაბათა, სახლთა, წალკოტთა, სათვალეთა გინა თვალთა პატიოსანთა".

ზღუდეს იგივე განმარტება ეძლევა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „რისამე დასაცავად გარშემოვლებული რამ (კედელი, ღობე...)".

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

საყოველთაო ჯვრისწერა ხაშურის საკათედრო ტაძარში

საზოგადოებრივი გაერთიანება „ჩოხოსნების" ინიციატივითა და საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, 16 მაისს, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხდა საყოველთაო ჯვრისწერა. გამონაკლისი არც ხაშური ყოფილა და ადგილობრივი ჩოხოსნების ორგანიზებით, ხაშურის საკათედრო ტაძარში, თერთმეტმა წყვილმა დაიწერა ჯვარი. აღნიშნული პროექტი უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და ითვალისწინებს იმ წყვილების ჩართვას, რომლებსაც აქვთ შექმნილი ოჯახები, დღემდე არ დაუწერიათ ჯვარი და აქვთ სურვილი უფლის წინაშე იქცნენ კანონიერ მეუღლეებად. ჯვრისწერის საიდუმლოს აუცილებლობის შესახებ თვით ქრისტე გვამცნობს, როდესაც ქორწინების საიდუმლოში მონაწილე ადამიანებს ღვინო გაუთავდებათ, უფალი სასწაულებრივად აღასრულებს წყლის ღვინოდ გადაქცევას. ჯვრისწერის საიდუმლოების აღსრულებისას. ადამიანს ეძლევა ამ ხილული მოქმედების შედეგად უხილავი მადლი, შემწეობა, კურთხევა, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში მათ მიეცეთ შვილიერების საშუალება.

საკათედრო ტაძარში ჯვრისწერის საიდუმლო აღასრულეს მამა ნიკოლოზმა და მამა იოსებმა. ჩოხოსნებმა კი ამ პროცესს განსაკუთრებული სილამაზე შემატეს.

ამ დღეს, ხაშურში, თერთმეტმა წყვილმა დაიწერა ჯვარი. ლოცვა და უფლის წყალობა არ მოკლებოდეთ ჯვარდაწერილებს.

პროფკავშირის თავჯდომარე ხაშურელ რკინიგზელებს შეხვდა

საქართველოს რკინიგზის პროფკავშირი ერთ-ერთი უმძლავრესი ორგანიზაციაა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ორგანიზაცია ათასობით წევრს აერთიანებს. რაც ყველაზე მისასალმებელია, ეს არაა მხოლოდ ქაღალდზე შექმნილი რაღაც დსწესებულება და იგი მართლაც თავისი წევრების გვერდში მდგომი ორგანიზაციაა, რომლის უმთავრესი პრინციი თითოეული რკინიგზელის პროფესიული ინტერესის დაცვაა. ორგანიზაციის თავჯდომარე თუ გამგეობის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში კონტაქტობენ რკინიგზელებთან და პროცესი შეუქცევადია.

ამ დღეებშიც, პროფკავშირის თავჯდომარე გელა გელაშვილი და გამგეობის წევრი ლერი გაბისონია ხაშურელ რკინიგზელებს შეხვდა. შეხვედრები უშუალოდ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო პროცესში ხდებოდა. თავჯდომარე მათ პროფკავშირის ამოცანებს, გეგმებს თუ სამომავლო პერსპექტივებს აცნობდა. რკინიგზელთა მხრიდან იყო საუბარი სხვადასვა პრობლემებზეც, რომლის მოგვარებასაც პროფკავშირი შეეცდება.

– ორმხრივი დიალოგი მუდამ საჭიროა, ასეთი კონაქტები აუცილებელია, რომ ჩვენ პროფკავშირის თითოეული წევრის პრობლემა ვიცოდეთ, თუ ასეთი არსებობს და მათ მოგვარებაზე ვიზრუნოთ. ამიტომ ასეთი შეხვედრები მუდამ გაგრძელდება, - აღნიშნა საუბარში პროფკავშირის თავჯდომარემ.

ჩვენი მოსწავლეების წარმატება კონკურსში - "ქართული ღვინის გზა"

9 მაისს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ქართული ღვინო და ვაზი - ტრადიციები და სამეცნიერო გამოწვევები" - ფარგლებში, კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ორგანიზებით, საქართველოს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო კონკურსი - „ქართული ღვინის გზა" გაიმართა. კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო, რომელიც მოიცავდა ქართული მეცნიერების დარგებს ღვინისა და ვაზის შესახებ. მოსწავლეებს მთელი საქართველოს მასშტაბით, მეთერთმეტე კლასიდან, უნდა წარმოედგინათ ვიდეო, სადაც ნაჩვენები იქნებოდა ინფორმაცია საქართველოს კუთხეების მიხედვით ვაზის ჯიშებისა და ღვინის სახეობების, ასევე მათი დამზადების ტექნოლოგიების შესახებ.

პროექტი 3 ეტაპისგან შედგებოდა, ფინალურ ეტაპზე კი 26 საუკეთესო ნაშრომი გადავიდა, მათ შორის ხაშურის №8 და №9 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნაშრომები. №8 საჯარო სკოლა წარადგინეს ჩვენმა წარმატებულმა რესპოდენტებმა, მეღვინეებმა ძმებმა ალბერტ და გორგი ლალუაშვილებმა და ლაშა ქურდაძემ, რომლებმაც ვიდეორგოლში საკუთარი ღვინის წარმოების შესახებ ისაუბრეს. №9 საჯარო სკოლის ვიდეორგოლში, რომლის ხელმძღვანელიც ამავე სკოლის პედაგოგი მზევინარ რევაზიშვილი გახლდათ, პროექტის მონაწილე ილია ზუმბაძე და პროექტის კონსულტანტი ნინო ზუმბაძე, წარმოდგენილი იყო ვაზის ისტორია ჩვენს რაიონში – უძველესი დროიდან დღემდე.

გამარჯვებულები სხვადასხვა ხარისხის დიპლომები 3 კატეგორიის მიხედვით გადაეცათ. საამაყოა ის ფაქტი, რომ კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ და უმაღლესი ხარისხის დიპლომები გადაეცათ - ალბერტ და გიორგი ლალუაშვილებს და ლაშა ქურდაძეს, ხოლო, №9 საჯარო სკოლას პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა. „ხაშურის მოამბე" ორივე ვიდეოს ინტერესით გაეცნო და უნდა აღინიშნოს, რომ მათი ეს გამარჯვება და უდიდესი წარმატება დამსახურებული და საამაყოა.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთა დაჯილდოებამდე, კონკურსანტები სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჯიდაურას საკვლევ-სადემონსტრაციო ბაზას ესტუმრნენ. ჯიდაურას საკოლექციო ნარგაობაში დაცულია 350 უცხოური და 437 ქართული ჯიში, მათ შორის ქართული ჯიშების უნიკალური და იშვიათი ჯიშების კოლექცია, რომლის მოძიება და აღდგენა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ხაშურის სამუსიკო სკოლის ტრიუმფი ადანიის (თურქეთი) საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე

2-10 მაისს, თურქეთში, ქალაქ ალანიაში, ბავშვთა მე-9 საერთაშორისო მუსიკალური კონკურს-ფესტივალი გაიმართა. კონკურსის მასშტაბზე და პრესტიჟულობაზე მხოლოდ მასში მონაწილე ქვეყნების დასახელებაც კმარა: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, იტალია, ყირგიზეთი, თურქეთი, უზბეკეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა. ჩვენი სამუსიკო სკოლის ბავშვებმა პირდაპირ ფურორი მოახდინეს და პირველი მეორე ადგილები ხომ არავის დაუთმეს, განსაკუთრებული პროფესიული შესრულებისათვის და საუკეთესო ტექნიკისათვის დაწესებული პრიზებიც დაისაკუთრეს. ბოლო წლებია, სამუსიკო სკოლის პედაგოგის ფატი სადაღაშვილის აღზრდილები (კონცერტმეისტერი თამაზ აბრამიძე) მართლაც საოცარ წარმატებას აღწევენ და თითქმის ყველა კონკურსიდან გამარჯვებულები ბრუნდებიან, რაც, რა თქმა უნდა, დიდი შრომის და მაღალი პროფესიონალიზმის შედეგია.

ალანიაში ჩვენი ორი მონაწილე მარიშა გოგოლაძე (IX საჯარო სკოლა, VII კლასი) და სანდრო კაპანაძე(XIII საჯარო სკოლა, VI კლასი) ფესტივალში მონაწილეობდნენ და ლაურიატები გახდნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი საფინალო გაერთიანებულ ანსამბლშიც მონაწილეობდნენ და ფესტივალის გალა-კონცერტზე მხურვალე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

სოფო ნოზაძე (I საჯარო სკოლა, V კლასი) უკვე მრავალი კონკურსის გამარჯვებულია და არც ეს კონკურსი ყოფილა გამონაკლისი. მის მიერ შერულებული მელპურის „ვარიაციები" და „პაგანინი-ჩვილი", „პაგანინი-ბიჭუნა" – უნაკლო იყო და ღირსეულადაც მოიპოვა პირველი ადგილი. აღსანიშნავია, რომ ჟიურიმ სწორედ მას გადასცა პრიზი „განსაკუთრებული პროფესიული შესრულებისათვის".

კონკურსში ასევე დიდ წარმატებას მიაღწია ანა გოლუბიანმა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. ვივალდის „ლა-მინორი" და ბომის „პერპენტომობილე – უწყვეტი მოძრაობა" – ასეთი იყო მისი რეპერტუარი და ანას ვერცხლის მედალს გარდა, პრიზი „განსაკუთრებული ტექნიკისთვის" ერგო. აღსანიშნავია, რომ ანა სულ მეორე წელია, რაც ვიოლინოს ხელოვნებას ეუფლება და ეს მართლაც უდიდესი მიღწევაა.

ათეულობით მონაწილეს შორის მოპოვებული IV ადგილიც, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა. ეს შედეგი კი ნინი ლალუაშვილმა რიდინგის „კონცერტის", ბანის „გლეხური კანტატის" და ჩაიკოვსკის „ძველებური ფრანგული სიმღერის" შესრულებით მიაღწია.

ჩვენს პატარა მუსიკოსებს, ასეთი წარმატების შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრმა სპეციალისტმა მიაქცია ყურადღება და არც ისაა გასაკვირი, რომ ისინი რამდენიმე ქვეყანამ მიიწვია სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობისათვის. ამ ბავშვებს მართლაც დიდი მომავალი აქვთ და იმედია, ისინი თავის პედაგოგთან და შესანიშნავ მუსიკოსთან – ფატი სადაღაშვილთან ერთად, კიდევ მრავალჯერ ასახელებენ ჩვენს მუნიციპალიტეტსაც და სრულიად საქართველოსაც.

გ. მაღრაძე

–ქართული ჭიდაობა–

პაატა ტაბატაძე საქართველოს ჩემპიონია

ამ დღეებში, ყვარელში, ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, ჭაბუკთა შორის, რომელშიც ხაშურის სასპორტო სკოლის გუნდიც იღებდა მონაწილეობას. ჩვენი ჭაბუკების მონაწილეობა საკმაოდ წარმატებული გამოდგა და ყვარელიდან ერთი ჩემპიონი და სამი ბრინჯაოს მედალოსანი დაგვიბრუნდა. ჩემპიონობა პაატა ტაბატაძემ (73კგ.) იზეიმა, რომელმაც ყველა მეტოქე ჩამოიშორა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა (მწვრთნელები: ბუხუტი ბუხრიკიძე, მურად მახარაშვილი). ბრინჯაოს მედლები კი გიორგი ნოზაძეს (50კგ.), დავით ხაჩიძეს (55კგ.) და ჯემალ ბეჟანიშვილს (60კგ.) ხვდათ წილად (მწვრთნელი მალხაზ ნოზაძე).

აღინიშნა ოჯახის სიწმინდის დღე

საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით, 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოცხადდა და მეორე წელია საზეიმოდ აღინიშნება. ამ დღეს, ჩვენი ქალაქის მოსახლეობაც შეუერთდა. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, სერგო ფასოევმა გვითხრა, ოჯახის სიწმინდის აღნიშვნა ახალგაზრდების ინიციატივით მოხდა და მათივე მონაწილეობით გაგრძელდა ფოლკლორული კონცერტის სახით. აქციაში, რომელიც ხაშურის ცენტრში გაიმართა, ათეულობით ოჯახმა მიიღო მონაწილეობა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.